



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #23

აპრილი, 2013

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ნატოს მიერ დაგეგმილ ტრენინგში ექსპერტის სტატუსით მიიღეს მონაწილეობა

2 ტრენინგების ციკლი ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში

3 ინციდენტებზე რეაგირების ავტომატიზებული სისტემა ამოქმედდება

3 სასწავლო ვიზიტი დამოზღოვების (TWINNING) პროექტის ფარგლებში

4 CERT.GOV.GE ვეისბუქის გვერდი მიმდინარე სიახლეებს განცობთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ნატოს მიერ დაგეგმილ ტრენინგში ექსპერტის სტატუსით მიიღეს მონაწილეობა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლებმა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში გამართულ ტრენინგში ექსპერტის სტატუსით მიიღეს მონაწილეობა.

ტრენინგი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ინსტიტუტში გაიმართა. ტრენინგი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის - მაკედონიის სისტემური და ქსელის ადმინისტრატორებისთვის ჩატარდა და მოიცავდა 2 ძირითად მიმართულებას: კიბერ საფრთხეების და მათგან თავდაცვის ინსტიტუციონალური მიდგომების შემუშავება და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება.



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლების გარდა ტრენინგს უძრველბოდნენ თურქი და კანადელი ექსპერტები.

ტრენინგის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
http://www.nato.int/cps/en/SID-D5002ACF-60406007/natolive/news_99718.htm



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

იუსტიციის
სახლი

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



საპატიმრო სერვისების
განვითარების სააგენტო

www.cra.gov.ge



საპარკეტო
აქტივების სააგენტო

www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საქართველოს
საკანონმდებლო
გამგა

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

ტრენინგების ციკლი ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2013 წლის ყოველი თვის შუა რიცხვებში გეგმავს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისთვის ტრენინგების ციკლის ორგანიზებას „**ინფორმაციულ უსაფრთხოების საფუძვლებში**“ და „**კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში**“

1) ტრენინგი „**ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში**“ ეფუძნება ISO 27001 სტანდარტს და საქართველოს კანონს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.

კურსი შედგება შემდეგი მოდულებისგან: ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, დანერგვა, შიდა აუდიტი.

კურსის მიზანია: ორგანიზაციის პერსონალს გამოუმუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევები, განუმარტოს ინფორმაციული უსაფრთხოების დონეები, გააცნოს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პრინციპები და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემები.

კურსი განკუთვნილია ორგანიზაციის ზედა და საშუალო მენეჯმენტისთვის და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისთვის. კურსის ხანგრძლივობაა 5 დღე.

კურსის საფასური შეადგენს 980 ლარს.

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ერთი თანამშრომლისთვის (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #157- (2013 წლის 11 მარტი) კურსი არის უფასო.

კურსის დამთავრების შემდეგ ჩატარდება ტესტირება. ტესტირების შედეგების შეფასების საფუძველზე მონაცემთა გაცვლის სააგენტო გასცემს ორი ტიპის სერტიფიკატს. იმ შემთხვევაში, თუკი დამსწრე ტესტირების საკითხების 90 პროცენტს გასცემს სწორ პასუხებს, მასზე გაიცემა როგორც ტრენინგზე დასწრების, ასევე გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატები. ხოლო, თუ დამსწრე აღნიშნულ ზღვარს ვერ გადალახავს, ამ შემთხვევაში მასზე გაიცემა მხოლოდ ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

2) ტრენინგი „**კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში**“ ეფუძნება ENISA-ს მიერ შექმნილ სავარჯიშოებს, რომელიც მსმენელს გაუუმჯობესებს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების უნარებს.

კურსი შედგება შემდეგი მოდულებისგან: CSIRT-ის ფუნქცია და მოვალეობები; ელექტრონული სამხილების შეროვნება; რეალური კომპიუტერული ინციდენტების იდენტიფიკაცია; ინციდენტებზე რეაგირების მეთოდები; რეალური ინციდენტების განხილვა; მავნე კოდის ანალიზი; კომპიუტერული ექსპერტიზა; შეღწევალობის ტესტირება და სუსტი წერტილების აღმოჩენა; ლაბორატორიული სამუშაოები.

კურსის მიზანია ორგანიზაციის პერსონალს გამოუმუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევები, ასევე შეძლოს ინციდენტების ანალიზი.

კურსი განკუთვნილია ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრებისთვის და ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის. კურსის ხანგრძლივობაა 5 დღე.

კურსის საფასური შეადგენს 650 ლარს.

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ერთი თანამშრომლისთვის (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #157- (2013 წლის 11 მარტი) კურსი არის უფასო.

გთხოვთ მოგვაწოდოთ იმ თანამშრომლის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონი და ელ.ფოსტის მისამართი), რომელიც არის ან სამომავლოდ იქნება თქვენი ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, რათა მას ჩაუტარდეს ზემოხსენებული ტრენინგი.

ტრენინგი ჩატარდება ჯგუფის დაკომპლექტების შემთხვევაში (12–15 კაცი) 2013 წლის დარჩენილი თვეების შუა რიცხვებში.

ინციდენტებზე რეაგირების ავტომატიზებული სისტემა ამოქმედდება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო უახლოეს მომავალში კიბერ ინციდენტებზე რეაგირების ავტომატიზებულ სისტემას დაანერგავს. აღნიშნული სისტემით სარგებლობა შეეძლება ყველა ავტორიზებულ მომხმარებელს, პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან შეთანხმებით გაივლის რეგისტრაციას.

„ინციდენტებზე რეაგირების ავტომატიზებული სისტემის ამოქმედება საშუალებას მოგვცემს ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კიდევ უფრო ეფექტურად გავატაროთ პრევენციის ღონისძიებები. ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც აღმოაჩენენ რაიმე სახის კიბერ ინციდენტს, შეეძლებათ ავტომატურ რეჟიმში,

სპეციალური ონლაინ რესურსის გამოყენებით დაარეგისტრირონ აღნიშნული ინციდენტი, შეავსონ ამ ინციდენტის ბარათი, რომელსაც გაეცნობა კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის წარმომადგენელი და დაიწყებს ინციდენტის ანალიზს და მისი გაუვნებელყოფის გეგმის შემუშავებას.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

სასწავლო ვიზიტი დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს თანამშრომლები დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოში ელ-მმართველობის გაძლიერება, 22-26 აპრილს სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ავსტრიაში, ქ. ვენაში.

ვიზიტი მიზნად ისახავდა ავსტრიის ელექტრონული მმართველობის მოდელის შესწავლას, ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების ანალიზს, სტრატეგიის შემუშავებისა და იმპლემენტაციის საკითხებს. ასევე აქცენტი გაკეთდა ელექტრონული მმართველობის სხვადასხვა პლატფორმის ფუნქციონირების ტექნიკურ მხარეზე და ელექტრონული სერვისების მუშაობის სპეციფიკაზე.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები ავსტრიის ფედერალურ უწყებებში და კერძო კომპანიებში, რომლებიც მონაწილეობენ ელექტრონული მმართველობის განხორციელების პროცესში და ამ მიმართულებით ფლობენ გამოცდილებას.

„დამმობილების პროექტის ფარგლებში ეს იყო მორიგი სამუშაო ვიზიტი პარტნიორ ქვეყანაში. ამჟამად ჩვენ გავეცანით ელექტრონული მმართველობის განხორციელების ტექნიკურ ნაწილს, ამ პროცესში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმატებით გამოყენების მაგალითებს. გავმართეთ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა ავსტრიის სხვადასხვა სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში. გავეცანით ავსტრიის ელექტრონული მმართველობის ყველა ძირითად ასპექტს, ეს ქვეყანა კი ამ მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ამდენად ის გამოცდილება, რომელიც ავსტრიელმა კოლეგებმა გაგვიზიარეს, დაგვებმარება საქართველოში ელექტრონული მმართველობის თანამედროვე ტექნიკური ბაზის გამართვის სამეში.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დამმობილების (TWINNING) პროექტის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე. სავარაუდო ბიუჯეტი - 1.2 მილიონი ევრო.

CERT.GOV.GE ფეისბუქის ოფიციალური გვერდი - უახლესი ინფორმაცია კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის - CERT.GOV.GE-ს ფეისბუქის ოფიციალური გვერდი უკვე რამდენიმე თვეა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში სამიზნე აუდიტორიას მუდმივად აწვდის სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია კიბერ და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან.

ეს არის რესურსი, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაეცნოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საქართველოს მასშტაბით დაინფიცირებული ვებგვერდების შესახებ, ასევე შეიტყოს ცნობები კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების

მიმართულებით მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესახებ, გაეცნოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და CERT.GOV.GE-ს მიერ დაგეგმილ თემატურ ღონისძიებებს ან ონლაინ რეჟიმში უყუროს პირად ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ვიდეო რგოლებს.

CERT.GOV.GE-ს ფეისბუქის ოფიციალური გვერდის მისამართია: <https://www.facebook.com/certgovge>

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Subscribe" ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "Unsubscribe".